საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 64 დამატების № 12

კვირა, 20 მარტი, 1916 წ.

ბრძოლა.

† იოსებ გიორ. ზონადირიშვილი.

შენ მაგონდები

რაც ერთხელ მითქვამს, შეიძლება გავიმეორო,
ვიდრე წარსულზე ფიქრი სულ მთლად არ მომძულდება;
თუმცა ის წუთი სანატრელი, ცრემლიც რომ ვღვარო,
ეჰ, ჩემო კარგო, არასოდეს არ დაბრუნდება...

———

და ვითმენ, ვითმენ დარდს და ვარამს გულზე დახვეულს;
არ ვიცი, ბედს თუ უბედობას ვუახლოვდები...
მსურს დაგივიწყო, მაგრამ ფიქრში სადღაც შორს წასულს,
როგორც ყოველთვის, ეხლაც ისევ შენ მაგონდები!..

ქნარი.

ტკბილი სიზმარი

ვნახე სიზმარი,
ტკბილი სიზმარი,—
ომი, საზარი, შეწყვეტილიყო;
დღეს რო ჯოჯოხეთს ჰგავს ეს ქვეყანა,
კვლავ სამოთხედა გარდაქმნილიყო;
ნათელს სამუდმოდ ბნელი ეძლია,
ღვთიური მადლი გადმოსულიყო
და ამდენ სისხლით მორწყულულ მიწაზე
ტურფა ნაყოფი ამოსულიყო:

დიდი პატარას აღარ სჩაგრავდა,
ძლიერი უძლურს ეხმარებოდა;
არ იყო არც ყმა, აღარც ბატონი,
არვინ არავის ემონებოდა;
ყოველი მხარე, ვრცელი, თუ მცირე,
თავისუფლებით ხარობ-სტკბებოდა
და ერთ მოყვარულ დიად ოჯახსა
კაცობრიობა ემსგავსებოდა.

ყვაოდა ჩვენი საქართველოცა,
ის ისევ ტურფა და მშვენიერი,
კიდით კიდემდე გაერთებული,
თავისუფალი და ბედნიერი,
და, ვით თვისს სწორთა, ყველა სხვა ერთა
უდგა გვერდითა ქართველი ერი,
თამარის დროის გამცოცხლებელი,
სახელოვანი, მხნე და ძლიერი...

ვნახე სიზმარი,
ტკბილი სიზმარი!..

დუტუ მეგრელი.

1915 წ.

გამოცანა

ეს ქვეყანა რომელია ისხამს ტურფა დაბა, ხევი,
მისი ერი არვის ახსოვს მტრიდგან უკან დანახევი
თუ შენ მისი მიწის შვილი მთლიანი ხარ არ ნახევი,
უკანასკნელს ემსახურე, ეცადე ნუ **ა ი რ ე ვ ი.**

კოწია ერისთავი.

კარმენ სილვას პოეზიიდან*)

სალამი რაინს.

ვაშა! გეახელ! ხელს გიწვდი, ოჰ, ჩემო ტურფა რაინო!
მოვედ შენს ხილვის მოსურნეს სული არ დამალევინო!
მარქვი, როგორ ხარ? კიდევ მცნობ? ეს მევარ, შენი დობილი,
შენს გამო გაგიჟებული, შენს ლაჟვარდ უბეს შობილი.

———

როგორც უმანკო მიჯნურმა შენ შეგინახე გული,
მოველ, გეხვევი, დაგკოცნი, აღმავსებს სიხარულია,
ასე მგონია, ახლად გჭვრეტ მჩქეფრს, ფაფარ აშლილს, მქუხარეს,
ოჰ, მოვედ, ამაყ მშვენებით ცრემლი შემიშრე მწუხარეს!

———

თუმც ჩემი ცრემლნი მთას იქით გარს ეხვევიან სხვა მხარეს,
ტუჩნი შენსკენა მოხარონ, გულს შენთან ყოფნა ახარებს,
მაშ რად ახანებ, გარუჯულ კიდეს რად ესმის ჩივილი?
მოსთქვამ? ცრემლსა ჰღვრი? გეწყინა? პირს რაღად დაგკრთის ღიმილი?

———

ჰოი, რაინო, რაინო, ღმერთთა მდინარევ, რაინო,
ზვირთთა ლაჟვარდი წინწკლები, გვედრი, გულს მომამცვრევინო!
საღმრთო ლეგენდად შექმნილი, ზღაპართა ზღაპრის მთხრობელო,
გულში ჩამიკარ, შენი ვარ, შენი, ოჰ ტკბილო მშობელო!

Candide.

*) კარმენ სილვა—რუმინეთის დედოფალი ელისაბედი, ეხლახან გარდაიცვალა. იგი ცნობილია, როგორც სათნო, თვის ერისა და მამულის მოსიყვარულე ადამიანი. სწერდა ლექსებს, მოთხრობებს, აგრედვე ფილოსოფიურს წერილებს. მისი თხზულებანი 40 ტომზე მეტია გამოცემული. ფრიად დამახასიათებელია მისი სამი ლექსი რაინისადმი. როგორც გერმანეთის შვილი და რაინის ნაპირებზე აღზრდილი პირველს ლექსში ახასიათებს რაინს, მეორეში გამომშვიდობებაა აღწერილი, ხოლო ეს მესამე გახლავთ, რუმინეთიდან კარგა ხნის შემდეგ, როცა პირველად ნახულობს საყვარელ მდინარის ზვირთებს.

C.

ცაცხვების ქვეშ

ამბავი ინგილოთა ცხოვრებიდან

(დასასრული)

მთხოვნელთა რიცხვი კი დღითიდღე მატულობდა. ახალი მთხოვნელები ფულსაც მეტს აძლევდნენ და თან უმატებდნენ:

— რას გიზის ტყუილად ე რძალი, რას აჭმევ ტყუილა პურს.

— კაცო, არ გეშინიან რომ ჩაგინთონ, აქამდის რას გიზის, ეუბნებოდნენ მეორენი*)

მაზლიც ბრაზობდა, აღარ უსვენებდა თინოს. რა ექნა, რა წყალში გადავარდნილიყო თინა. მასწავლებელმა ქალმა, რომელსაც შესჩივლა თავისი უბედურობა, დააბარებინა მღვდელს თიოს მაზლი, რომელსაც ორთავემ ბევრი რჩევა დარიგება მისცეს, მაგრამ ვერაფერმა გასჭრა.

— ჩვენი ადათი ეგეთია, გაიძახოდა ის დაჟინებით და არაფერ ყურადღებას აქცევდა მათ დარიგებას.

ამაოდ ცდილობდა მასწავლებელი —ნუ სტანჯავ საბრალო დედაკაცს, ეუბნებოდა იგი, რამდენიმე დღე არ არის, რაც საყვარელი ქმარი მოუკვდა, ჯერ ის არ გამოუგლოვნია და სირცხვილი და საძრახისი არ არის, რომ შენისთანა ოჯახის შვილი მაგისთანა საქმეს ჩადის! ქალს უნდა თავისი თავი შვილების გაზრდას და ქმარის ხსოვნას შესწიროს და თქვენ კი რას უშვრებით.

მაგრამ ასეთი დარიგება უფრო აბრაზებდა მუსას. ის ცხარობდა, დორბლებსა ჭყრიდა და მთელს ბრალს სკოლასა და მასწავლებელსა სდებდა.

— წინად ვის შეეძლო უარის თქმა, კაცი უბრძანებდა და დედაკაცი როგორ შეჰბედავდა უარის თქმას, როგორ გადავიდოდა მის სიტყვას.

რაც დრო გადიოდა უფრო აუტანელი ხდებოდა თინას მდგომარეობა. მეტის მოთმენა შეუძლებელი იყო და ამიტომ თინამაც უკიდურეს საშუალებას მიჰმართა, რაკი სხვა საშუალებით ვერას გახდა. ეს საშუალება იყო პოლიციის საქმეში ჩარევა და მისი დახმარება, რისთვისაც თინია უკვე მოსულიყო პოლიციის ეზოში.

როდის-როდის, ზღაზნით ჩამობრძანდა ბოქაული და შორიდგანვე თვალი გადაავლო მთხოვნელებს.

— უჰ, რავდენი ხალხია დღეს, რა ჯანდაბა უნდათ, ის დედაკაცი რაღას მოთრეულა, რა მეჯავრება მომჩივარი დედაკაცები, ხეირიანი დედაკაცი აქ არ მოვა, არამზადა, გაჰქირი და ქმრის მოჩხუბარი თუ მოვა ხოლმე. ჰმ, მაგრამ... და აქ უცებ რაღაც გაახსენდა იმ დედაკაცის შესახებ ბოქაულს და იქვე მყოფ დარაჯს მიაძახა, დამიძახეთ იმ დედაკაცს.

დედაკაციც, რომელსაც უკვე წინდაწინვე ეჭირა თვალი ბოქაულისაკენ და მის ჩამოსვლას მოუთმენლად მოელოდა, შეჰყვა დარაჯს და შევიდა ნაიბის კანცელარიაში.

— შენ აქ რას მოთრეულხარ, უთხრა ჩვეულებრივი პოლიციურის ზრდილობით ბოქაულმა ქალსა, რა საქმე გაქვს, რომ აგიღია ფეხი და დაგლაჯუნობ.

თინია დაწვრილებით და დალაგებით მოუყვა თავისს გაჭირვებას და მაზლისაგან მიყენებულ შეურაცყოფას და ძალადობას გათხოვებაზე, მაგრამ ბოქაულმა არც კი დააცალა ლაპარაკის გათავება და მრისხანედ შეუტია.

— მაშ რა გნებავს, მუქთად პურს ვინ გაჭმევს, შენს მაზლს თავისს თავის რჩენაც გასჭირებია და შენ რაითა ლა უნდა გაცხოვროს. გესმის თუ არა დაუმატა ბოქაულმა, მოვალე ხარ რასაც მაზლი გიბრძანებს აასრულო. თორემ ხომ იცი ურჩების მორჯულება ჩვენ ადვილად ვიცით და ხელი გაუშვირა გაღებულ ფანჯრისაკენ, რომლიდგანაც საპატიმრო მოსჩანდა. ხმა გაიკმინდე, ენა ნუ დაგიგძელებია, თორემ ხეირს არ დაგაყრი, გასწი აქედგან დაიკარგე.

გულჩათუთქული და გულჩამკვდარი გავიდა თინა ბოქაულისაგან, მიწა რომ გასკდომოდა და შიგ ჩავარდნალიყო ის ერჩივნა იმ ჟამად თინიას. გული ათას ნაირად ეწიწკნებოდა და დაგა-დუგი გაჰქონდა, თვალები ცრემლებს ვეღარ იმაგრებდა და ღაპა-ღუპი გაჰქონდა მის ნაზსა და სასოებიანს ღაწვებზედ. თინიას ეჩვენებოდა, რომ მთელი ქვეყანა, მთელი მსოფლიო მის წინააღმდეგ იყო ამხედრებული და წალეკვას უპირებდა. მთელი ქვეყანა მხოლოდ მას ებრძოდა და ეომებოდა. აი ეს ღობე ქუჩას რომ ჩასდევს, ეს ხეივნები წყლის პირად რომ ჩარიგებულან, აი საყვარლად მოჩუხჩუხე ანკარა მდინარე გზას რომ ჩამოუდის, ყველანი მის წინააღმდეგ ამხედრებულან, მას ეომებიან და მის ტანჯვა-მწუხარებას დასცინიან. ყველას თითქოს პირი შეუკრავთო, მის წინააღმდეგ არიან, დაწყებული მაზლიდგან და გათავებული ბოქაულითა და ამ მოჩუხჩუხე მდინარითა. რა ჰქნას, რა წყალში ჩავარდეს, ნუ თუ მართლა ისე უნდა იყვეს, ნუ თუ მის გრძნობას, მის სურვილს ასე აბუჩად უნდა იგდებდეს ყველა და დასცინოდეს? ისიც ხომ ადამიანია, მასაც ხომ გრძნობა, გონება აქვს და სურვილ-ლტოლვილება და რად დასცინიან მას და მასხარად იგდებენ, როცა ამაზე ხმას იღებს იგი და ღაღადებს. ნუ თუ ესე უნდა ხდებოდეს? ნუ თუ ის უბრალო საქონელსავით უნდა მიჰყიდონ, მისცენ ვისაც მოისურვებენ, როცა სახლში საყვარელ დაობლებულ ქმრის კერაში ბავშვები უწვის?

— აბა, არა ანგრე არ იქნების, სკოლაში მასწავლებელი ანგრე არ გვასწავლიდა, მე ჩემს ქმრის კერასა და ჩემს შემს შვილებს უნდა შევსწირო თავი. ათასჯერ იმეორებდა თინია ამ სიტყვებს და ვერც კი შეამჩნია, რომ სახლის დარბაზს უკვე მიადგა.

სახლში უკვე იცოდნენ, რომ ის ბოქაულთან იყო საჩივლელად და იცოდნენ ისიც, რასაც ეტყოდა ბოქაული. რადგანაც მოხერხებულს მაზლს წინდაწინვე ჰქონდა მოლაპარაკებული და საჭირო გასამრჯელოც ბოქაულისათვის მიცემული. თინას ეზოში შესვლისთანავე ყველამ დაცინვით შეხედეს მუსამ (მაზლმა) ხომ მაშინვე მიახალა.

— აფთარო, რა მოგართვა ნაიბმა, კარგად გაგიმასპიძლდა თუ არა.

თინამ ითმინა, მაგრამ როცა მუსასთან ერთად მის ცოლმაც ხმა ამოიღო და უკმეხად დაუწყო ხსენება, თინამაც ხელი გამოიღო და ჯეროვანის პასუხით გაუმასპიპძლდა. ქალები გაწიწმატდნენ, დაერივნენ ერთმანერთს, ცემა-ტყეპა დაიწყეს. მუსა ცოლს მიექომაგა და საკმარისი მოჰხვდა თინას. გაასპიტდა თინა, მხეცს დაემსგავსა, ვეღარავინ ვერ იჭერდა და რაც მოჰხვდებოდა ყველაფერს აქეთ-იქით ისვროდა და ლეწავდა. ბოლოს, როგორც იყო მუსამა და მისმა ცოლმა დაიჭირეს, შეჰბოჭეს, გომურში შეაგდეს და კარი გამოუკეტეს.

ნაგვემ-ნაცემი, დაოსებული თინია ეგდო გომურში ყველასაგან მიტოვებული და მიგდებული, თითქოს მთელი ქვეყნის მრისხანება მას დასწოლოდეს თავზედ და გაესრისოს. ათასნაირი აზრები ერეოდა თავში ერთიერთმანეთის საწინააღმდეგო და შეუსაბამო. ეხლა მას ყოველი საშუალება მოსპობილი ჰქონდა, მღვდლისა და მასწავლებელ ქალის ქომაგობამ ვერ უშველა რა, ბოქაულმა ხომ მტრულად შეხედა და ფეხები დაუბრახუნა. ეხლა რაღა ჰქნას სად წავიდეს, ვის მიჰმართოს, ვის შეევედროს, ვის, ვის ათასჯერ აძლევდა ასეთს საკითხს თავისს თავს საბრალო თინია. ყოველივე მის წინაღმდეგ არის აღმართული, ჯოჯოხეთად, ნამდვილ ჯოჯოხეთად ხდება ჩემი აქ ცხოვრება. ეს რაღა უბედურებაა ჩემს თავს სადა ვგდივარ, ეს რას მოვესწარ, აქ ცხოვრება აღარ შეიძლება.

— გააღევით კარი, ზეზე წამოჭრილმა თინიამ ძალზე წამოიყვირა და კარებს რახუნი დაუწყო.

— დედა, დედა შესჩხავლეს გარედგან ბავშვებმა.

———

მეორე დღეს თინა ახალს ქმარს გააყოლეს. ცაცხვის ქვეშ საჩივლელად მოსულ სოფლელთა შორის ამ გვარი ბაასი იყო.

— დიდ უარზე ბრძანდებოდა ბულულაანთ თინა, მაგრამ მაინც გააოხოვეს.

— ცუდი დრო დადგა, ქალები ურჩობენ, როგორ შეიძლება ქალი კაცის სიტყვას გადავიდეს, სთქვა ერთმა მოხუცთაგანმა.

— ეგ ხეირი უშკოლამ შეგვძლვნა, ქალს რად უნდა ლოცვა,*) ნალოც ქალ ამეშა**) გაუგონარი და გიჟი კეთდების, სთქვა მთლად გაჭაღარებულმა მეორე მოხუცმა, რომელსაც კარგად ახსოვდა ის დრო, როცა ქალს საითაც უნდოდათ, იქით უკრავდნენ თავს და ვისაც უნდოდა და როდესაც, იმას მიათხოვებდნენ.

ზ. ედილი.

*) საინგილოში თუ ქვრივი დიდხანს დარჩა და არ გათხოვდა, იმ სახლს ცეცხლს წაუკიდებენ და გაღასწვამენ, რათა აიძულონ ქალი გასათხოვებლად.

*) ლოცვას ინგილოები სწავლას ეძახიან. ისე რომ ინგილოური გამოთქმა „ნალოც ქალი გიჟი კეთდების“-ო ნასწავლი კაცი გიჟი—გამოდისო.

**) მუდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ე რ ი შ ი.

ფატმა-ნენე

(ნამდვალი ამბავი მაჰმადიანთა ცხოვრებიდან. ვუძღვნი ექიმ ხოსრო-ბეკ სულთანოვს).

ზამთრის ბნელი ღამე იყო... ცის კაბადონი შავი—კუპრივით ღრუბლებით იყო მოკული, რომელთა წიაღშიც დასცურავდა დღე მილეული შთვარე და დრო გამოშვებით ოდნავ გამოჰყოფდა თავს,—მაგრამ ისევ მალე ჩაინთქებოდა ხოლმე... მთელი სამყარო ტლანქი ნისლი დასწოლოდა... ამ უკუნეთ წყვდიადს ემატებოდა საშინელი ქარიშხალი, რომელიც გამხეცებული ნადირივით ბღღვნიდა დედამიწას... თუმცა ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ მცხოვრებთა ქოხებიდგან არ მოსჩანდა სინათლე. ალბად ადრიანად დაეძინათ, რომ გულში დაგუბებული ბოღმა და სევდა ძილში დავიწყებისთვის მიეცათ... მხოლოდ ერთ სახლიდგან, რომელიც განირჩეოდა სხვა მიწურ ხებიდგან რადგან იგი ქვითკირისა იყო მოსჩანდა სინათლე ფანჯარიდგან... ეს სახლი ეკუთვნოდა სოფელში კარგად ცნობილ ექიმბაშ დედაბერს ფატმა-ნენეს...

ფატმა-ნენე თავისი ორი ახალგაზდა რძლებით, ბუხარს მისჯდომოდნენ და ხმა ამოუღებლივ ართავდნენ გაფაციცებით აბრეშუმის ძაფს...

— ფატმა,—მიმართა სიჩუმის შემდეგ ერთმა რძალთაგანმა,—ეხლა რომ ნატვრის თვალი გქონდეს. რას ინატრებდი?

— ეჰ, შვილო,—ოხვრით დაიწყო მოხუცმა,—ვინ მაღირსებს, მე ბედშავს ნატვრის თვალს, თორემ მოგეცა ღვთის წყალობა, რომ მე ვიცოდი, რასაც ვინატრებდი...

— რას ინატრებდი რასა?—მიმართეს ხვეწნით ორთავე რძლებმა.

— რასა?!—იკითხა მოხუცმა ტ თან თითისტარი ძირს დასდო,—ვინატრებდი ეხლა მფრინავ ხალიჩას, ზედ გაშლილ სუფრას და გავფრინდებოდი იქ, სადაც ჯაშუშთა ენის გამო უდანაშაულოდ იტანჯებიან ციხეში ჩემი უსუფი და მაჰმედი, დავსხამდი ხალიჩაზე და ჰერი გიდიი... გამოვაქანებდი.

— რომ ისევ წაიყვანდნენ?—იკითხეს გულნაკლულად რძლებმა.

— ეჰ, ეგ კი სრულიად დამავიწყდა მე გამოჩერჩეტებულს... შევთხოვდი დიდ ალაჰს ნატვრის თვალის წყაწყალობით, რომ ეგრძნობინებინა მართველთათვის ჩვენი უდანაშაულობა...

— ოჰ, რა ბედნიერი ვიქნებოდით,—შესძახეს რძლებმა... და ერთ ხანობას სამთავენი ოცნების ტკბილ სამფლობელოში გადაფრინდნენ...

II.

ასეთ სანეტარო ფიქრებში იყვნენ გართულნი სამთავენი, რომ უეცრივ მოისმა კარების კაკუნი, რამაც გამოაფხიზლა სახლში მყოფნი და მათი ყურადღება იქითკენ მიიპყრო.

— ნეტა ვინ უნდა იყვეს?—ჩაილაპარაკა უფროსმა რძალმა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ ფატმა-ნენემ მკლავი დაუჭირა და ისევ თავის ალაგას დასვა... და თან მზრუნველობის კილოთი მიმართა...

— საკეთილოდ შვილებო, მაჰმადიანთა ქოხში ღამე არავინ მივა და ისიც იქ, სადაც მარტო ქალები არიან... ადექით საჩქაროდ, წალოში დაიმალენით.. და თუ ჩვენი კეთილი ვინმე იქნება, მაშინ გამოხვალთ, თუ არა და უცადეთ, რა მოხდება... რძლები მაშინვე წამოდგნენ და უფროსის ბრძანება სწრაფლ შეასრულეს. მხოლოდ თვით ფატმა-ნენე მიუახლოვდა კარებს და ოსმალურად გასძახა:

— ვინ არის?

— კარი გაგვიღეო,—იყო გარედან პასუხი...

— ვინა ხართ, სთქვით?

— ვინცა ვართ, როცა შემოვალთ დაგვინახავ...

ასეთი მკვახე პასუხი ფატმა-ნენეს არ ესიამოვნა და მიხვდა რისთვისაც იყო მოსული ღამის რაინდი...

— ვიდრე არ მეტყვით ვინა ხართ, კარს არ გაგიღებთ...

— ხა, ხა, ხა, ხა,—გაისმა გარედან დამცინავი ხარხარი, არ გაგვიღებ და კარის გატეხვა ადვილია.

— ამ ხითხითმა და დამუქრებამ ფატმა-ნენეს თავმოყვარეობა აღუძრა და გაბრაზებულმა გამოუგდო ურდული კარებს...

— მობრძანდით, ვნახოთ, რა გნებავთ?—ამაყურად მიმართა მოხუცმა და კარი გააღო, საიდანაც შემოვიდნენ ორი ახალგაზრდა იარაღში ჩამოსხმული ყმაწვილი კაცი... ფატმა-ნენემ იცნო თავისი მახლობელ სოფლის მცხოვრებნი და ზიზღით შეეკითხა:

— რად გარჯილხართ, ასეთ ბნელ და ცუდ ღამეში?

— რათა?!—ჩვენ თქვენი სტუმრები ვართ...

— სტუმარი ღვთისაა, და კეთილ სტუმარს მაჰმადიანთა წესით თავს ვანაცვალებ...

— მაშ გაგვიმასპინძლდი... მაგრამ იცი, რითი?

— რითი?

— სად არიან შენი ლამაზი რძლები?—მოხუცი მიხვდა რაც სურდათ ამ დაუპატიჟებელ სტუმრებს, მაგრამ თავი შეიკავა და შეეკითხა:

— რათა გნებავთ? შინ არ არიან.., და რომ იყვნენ კიდეც, არ გეჩვენებიან ჩვენი რჯულის თანახმად...

— დამალე განა ქოფაკო?—ჩვენ ვიპოვით და ამ სიტყვებთან ერთად დაუწყეს ძებნა ქალებს, ფატმა-ნენე იმ იმედით, რომ ქალებს ვერ იპოვნიდნენ, ერთ ადგილას იდგა და თვალყურს ადევნებდა სტუმართა მოქმედებას... მაგრამ იმედი გაუცრუვდა—ერთმა მათგანმა ბევრი ძებნის შემდეგ შიაგნო დამალულებს და გახარებულმა ამ შემთხვევით, დაუძახა მეორეს:

— საქულ, აქ არიან მიშველე და თან თრევა დაუწყო ღალოდან ერთ ქალთაგანს, რომელმაც საშინელი ყვირილი მორთო, მაგრამ სწრაფლ გააჩუმეს, რადგან ხელსახოცი ჩასტენეს პირში და ახლა მეორეს მიუბრუნდნენ... ფატმა-ნენემ ველარ შესძლო და მათკენ გაექანა...

— ეჰ, ქოფაკო,—შეჰყვირა ერთმა მათგანმა. ძალასაც ხმარობ და შიშველი ხანჯალი გაუქნია მოხუცს, რომელსაც მარცხენა მკლავი წასწყვეტია... გამწარებული მოხუცი გაექანა იქვე ბუხართან, დასწვდა ცალი ხელით ცულს და გაშმაგებული გაექანა კვლავ



მზვერავნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუპატიჟებელ სტუმრებისაკენ, მაგრამ იგი რევოლვერის ტყვიით განგმირული იქმნა... ვინაიდგან რძლები დარმუნებული იყვნენ, რომ მათი საქმეში ჩარევა სიკეთეს არ მოუტანდათ ისარგებლეს ამ არეულობით გაცვივდნენ გარედ. და სწრაფლ ჩაინთქნენ ღამის წყვდიადში...

— როდესაც სტუმარნი დარწმუნდნენ, რომ მოხუცი საშიში აღარ იყო, ახლა განიზრახეს თავიანთ სურვილის ასრულება, მაგრამ მათ შერჩათ მხოლოდ მოკლული დედაბერი და ცარიელი ოთახი... გამხეცებულთ ამ ამბისგან სწრაფლ წაუკიდეს ცეცხლი შიგნიდან ოთახს, გამოიხურეს კარები და თვითონაც მიიმალნენ...

———

გათენდა დილა... მზემ თავის ოქროსფერი სუსტი სხივები მოჰფინა არემარეს... ფატმა-ნენეს სახლთან მთელი სოფელი შეგროვილიყო და მოსთქვამდნენ თავიანთ უბედურებას... საბრალო მოხუცის რძლები გამწარებული დასტიროდნენ ფერფლად ქცეულს სახლს...

ვანო საათაშვილი.

გასართობი

თხოვნა ვილსონისადმი.

ერთი ქალი თურმე მამაკაცის ტანისამოსით დაიარებოდა. პოლიციამ აუკრძალა. ქალმა მაინც თავისი არ დაიშალა. ბოლოს ციხეში ამოაყოფინეს თავი. როგორც ნიუ-იორკის გაზეთი იტყობინება, ამ ქალს ვილსონისთვის ციხიდან შემდეგი თხოვნა მიურთმევია:

„მე რამდენჯერმე დამაპატიმრეს, იმის გულისთვის, რომ შალვარს ვატარებდი. ამ ჟამად ციხეში ვიმყოფები, რადგან მე ქალის ტანისამოსის ჩაცმაზე უარი განვაცხადე.

როდესაც ქალის ტანისამოსი მეცვა, კვირაში 6 დოლარზე მეტს ვერ ვშოულობდი და ამასთანავე მუშაობის დროს მამაკაცებისაგან მრავალგვარ შეურაცხყოფას ვიტანდი. როცა მამაკაცის ტანისამოსში ვიყავ, 15 დოლარს ვშოულობდი და ვერც შეურაცხყოფას მაყენებდნენ. თუ იმდენად ძალა შემწევს, რომ მამაკაცის მუშაობა შევძლო, რატომ ნება არ უნდა მქონდეს მამაკაცის ტანისამოსი ვატარო. განა ეს დანაშაულიაო?“.

ერთის საათით მართველობა.

ერთი ფრანგი მკვლევარი დაინტერესებულა თუ რა ჯდება ერთის საათით მართველობა. მისის გამოანგარიშებით ნაპოლეონ I დროს ერთის საათით მართველობა ჯდებოდა: 115000 ფრანკი. ლუდოვიკ-ფილიპეს დროს—150000. მეორე რესპუბლიკის დროს—163000. ნაპოლეონ III დროს—249000, 1870—1880წლებში—302000, 1880 წლებიდან—410000.

ფრანგული გაზეთი დასძენს: რასაკვირველია, ეს ციფრი თანდათან გაიზრდებოდა, მით უმეტეს, თუ ამას მიეუმატეთ ის ჯამიც, რაც ამისთანა უსაქმო სტატისტიკოსებზე იხარჯებაო.

ესეც პროფესორის გამოკვლევა.

ერთი პროფესორი დიდად დაინტერესებულა: მეჭორე და ყბედი დედაკაცი თუ კაცი საათში რამდენ სიტყვას წარმოსთქვამსო.

დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ აღმოუჩენია, რომ სამი საათის განმავლობაში ერთს მაღალ წრის ქალს უხმარია 296000 სიტყვა. წუთში უთქვამს 1,700 სიტყვა, წამში—25.

უმაღლესი განათლება!

ამერიკაში ყოფილა ერთი სკოლა, სადაც პროფესორებად ქალები არიან. ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში ეს სკოლა ასეთის შინაარსის განცხადებას ათავსებს:

ახალგაზრდა ქალი, გამოჩენილ გვარისა ასწავლის ზრდილობას (ეტიკეტს), დარიგებას აძლევს მორცხვ ახალგაზრდებს, რომელნიც საზოგადოებაში არ არიან გამოსულნი.

რჩევას აძლევს შეყვარებულებს და ასწავლის საშუალებებს, თუ რა ხერხით უნდა დაიპყროს ქალის გული, რომ მუდამ მოგებული დარჩეს.

ასწავლის აგრედვე, თუ საზოგადოებაში როგორ უნდა ეჭიროთ ხელები, ფეხები და ქუდი.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია. ამაზეა ნათქვამი ქართული ანდაზა: საქმე არ ჰქონდეს ხუროსა, დაჯდეს დს არახუნოსა.

მეფის სახელი.

ამას წინად სიამის მეფე გარდაიცვალა, მისი შთამომავლობითი სახელი იყო:

სომდეჩ-ფრა პარამინდ მაგა ჩულალონკონ პატინდრ დებია მაგა მონგ გუტ პურუსია პატუე რაჯა ია ბამონგსუ ბარუტ მაბრონგსე პარაბუტ ვარაკ ხატ ტიარა რაჯა ნიკორატამრ ხატუანტა პარამა მაბი ხაკრუბარ ტირაგაზანკას პერუმადარმ მიკემახი რუშად ხირაჯაფა რა მონარტ პაბიტ ფრა ხულ ხომკლოვ ხოუ იუ გუა.

ეს იყო მეფის სახელი.

მოსამსახურეების ნიშანი.

იტალიის სასტუმროების მოსამსახურეებს ერთნაირი ნიშანი აქვთ. ამ ნიშანს იმისთანა მდგმურის ან მოგზაურის ყუთზე ან ბოხჩაზე აკეთებენ, რომელიც ნაკლებ ასაჩუქრებს.

ვინც ამ ნიშანს მალე ვერ შეჰნიშნავს და არ წაშლის, რომელ ქალაქშიაც არ უნდა მივიდეს, ყველგან მოსამსახურეები გულცივად უხვდებიან: შენიშნავენ თუ არა იმ ნიშანს, უკვე იციან, რომ მოგზაური კრიჟანგია.

ქალწულის ჯილდო.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ საფრანგეთში დღემდის არსებობს ეგრედ წოდებული „მონტიონის“ ჯილდო ანუ პრემია. ამ პრემიით აჯილდოვებენ იმისთანა უქმრო ქალებს, რომელნიც თავს იჩენენ ხელსაქმეში.

ფრანგულს გაზეთებში მოგვითხრობენ: ერთ დღეს შეიკრიბა საბჭო ამ ჯილდოს მისაცემად. გასინჯეს მრავალ ქალთა ხელსაქმე და ბოლოს ყველა იმ აზრს დაადგა, რომ ჯილდო ლუიზა მ—ს უნდა მიეცესო.

დაიბარეს ქალი.

როდესაც საბჭომ ლუიზას გამოუცხადა, რომ შენი ხელსაქმისათვის ჯილდო გეძლევაო, თურმე ეს ქალი სიხარულისაგან ისე აღელვებულა, რომ მოსამართლეების წინაშე ბავშვი უშობნია.

ზრდილობიან ფრანგებს უხერხულობა უგრძნიათ; ჯილდო ქალწულისთვის უნდა მიეცათ, მაგრამ თავიანთი გარდაწყვეტილება წესდების წინააღმდეგ დაუმტკიცებიათ და ლუიზასთვის მაინც მიუციათ ათი ათასი ფრანკი.

საწყობს ვეძებდი შაქრისას, ვერ ვპოვე, დაკარგულიყო!
ქალაქის საბჭოს მივმართე, თავებად ამოსულიყო
ფული მომთხოვეს, მივართვი, მითხრეს: წაიღე, სულიკო!



„სკოლებში გამოცდები გაუქმებულ იქმნა, ხოლო მის ნაცვლად შემოიღეს ყოველ დღე ხუთი გაკვეთილი და გავლილის განმეორება“.

მოწაფე (მღერის)
მივალ, მივალ მივდივარ, ბობღით მივეჩქარები!
ტვირთს გაუძლებ თუ არა, ლაყს კვერცხს დავედარები!

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

რედაქტორ გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**